



საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები

იხელმძღვანელეთ კანონმდებლობით

საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ კანონში, საქართველოს საგადასახადო კოდექსსა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებები

2018 წლის 27 დეკემბერს მიღებული კანონით, ცვლილება, რომელიც არეგულირებს საგადახდო მომსახურების მომხმარებლის ფულადი სახსრებისა და ელექტრონული ფულის შესახებ ინფორმაციის გაცემის საკითხებს, ამოქმედდება მანამდე განსაზღვრულ ვადაზე ადრე - ცვლილებები ძალაში შედის ნაცვლად 2019 წლის 1 ივლისისა, 2019 წლის 1 მაისიდან. მიღებული ცვლილებებით, ინფორმაციაზე წვდომის უფლება მიენიჭა „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემოწმების განხორციელებისას – სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურსაც. ცვლილებები კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტში აისახა. ვადის ცვლილება შეეხო საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილში „ბ1“ ქვეპუნქტის დამატებაში, „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ“ კანონის რეგულაციურ დისპოზიციებსა და სხვა დაკავშირებულ საკანონმდებლო აქტებშიც.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი

2019 წლის 24 აპრილს პარლამენტში ინიცირებულ იქნა კანონპროექტი სპორტული დანიშნულების ავტომანქანების იმპორტისთვის ფიქსირებული სააქციზო გადასახადის შემოღების მიზნით. კანონპროექტის ავტორები ეხმაურებიან 2016 წელს ავტომობილების იმპორტის გადასახადის გაძვირების შემდგომ საქართველოში საავტომობილო სპორტში გამოწვეულ პრობლემებს და ამის გადასაჭრელად დადგენილი, 100-ლარიანი სააქციზო გადასახადის შემოღების ინიციატივით გამოდიან. ცვლილება შეეხება მხოლოდ სპორტული დანიშნულების ავტომობილებს. ყველა სხვა კატეგორიის მსუბუქი ავტომობილისა და მოტოციკლის (მოპედის ჩათვლით) აქციზის საფასური განისაზღვრება წლოვანებისა და ძრავის მოცულობის გათვალისწინებით.

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანება

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 25 აპრილის ბრძანებით №121 უცხოეთის დიპლომატიური პირებისათვის განკუთვნილი საქონლის/მომსახურების დღგ-ისგან გათავისუფლების მარეგულირებელ ნორმაში (მუხლი 68) შევიდა ცვლილება. საქართველოს კანონმდებლობით, დიპლომატიური წარმომადგენლობის წევრებისთვის პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა გათავისუფლებულია დღგ-სგან.

აქამდე არსებული წესით, თუკი დიპლომატიური წარმომადგენლობის წევრისთვის მიწოდებული საქონლის/მომსახურების დასაბეგრი ოპერაციის ჯამური თანხა ერთი მიწოდების ფარგლებში აღემატებოდა 100 ლარს, სავალდებულო იყო საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა. შემოთავაზებული ცვლილებებით, მიმწოდებელს აღარ წარმოეშვება ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დიპლომატიური წარმომადგენლობის წევრი ითხოვს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერას. ცვლილებები ძალაში შევიდა 2019 წლის 1 მაისიდან.

სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა - მნიშვნელოვანი განმარტებები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა დასაქმებულის შრომის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებასთან, აგრეთვე სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების გასაჩივრების ვადასთან დაკავშირებით 2019 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებაში, საქმეზე სუსგ №ას-1210-2018.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ შრომის კოდექსის რელევანტური ნორმის შინაარსიდან გამომდინარე დასაქმებული არ არის ვალდებული მოითხოვოს გათავისუფლების შესახებ ბრძანების წერილობითი დასაბუთების გადაცემა, ასეთ შემთხვევაში (თუკი დასაქმებული არ მოითხოვს წერილობითი დასაბუთების გადაცემას), გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებაზე არ შეიძლება გავრცელდეს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული 30 დღიანი ვადა, არამედ, უნდა გავრცელდეს სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა, საკასაციო პალატამ არ გაიზიარა.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ გათავისუფლების შესახებ ბრძანების გასაჩივრების მიმართ 3 წლიანი ვადა გამოიყენებოდა შრომის კოდექსში 2013 წლის 12 ივნისს განხორციელებულ ცვლილებებამდე, ხოლო ამ ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, ნორმატიული აქტის 38-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით დადგინდა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების გასაჩივრებისთვის სპეციალური ვადა, რომელიც შეადგენს 30 დღეს.


საკონტაქტო ინფორმაცია

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:



გიორგი თავართქილაძე

საგადასახადო და იურიდიული
დეპარტამენტის დირექტორი
gtavartkiladze@deloitte.ge



გიორგი ხუროძე

იურიდიული სამსახურის უფროსი
gkhurodze@deloitte.ge

თბილისი

ბიზნეს ცენტრი King David

მერაბ ალექსიძის ქ. 12, მე-15 სართული
თბილისი, 0171,
საქართველო

Tel: +995 (32) 224 45 66

Fax: +995 (32) 224 45 69

deloitte.ge

deloitte.ge

დელოიტის შესახებ

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 286 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში [Facebook](#), [LinkedIn](#), [Twitter](#).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.